გეომედი ლაიფი Geomedi Life

№19 (20) 2025 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

უნივერსიტეტ გეომედის დერეფნებში სიჩუმეა?!

ადმინისტრაცია, პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, სტუდენტები მძიმედ განიცდიან უნივერსიტეტის პრორექტორის, ბატონი თამაზ ხვიჩიას გარდაცვალებას.

ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც 28 წლის განმავლობაში ჩვენ გვერდით იყო. მაგრამ ეს აუცილებელიცაა, რადგან მას დიდი ღვაწლი მიუძღვის უნივერსიტეტის შექმნა-მშენებლობასა და განვითარებაში.

ბატონი თამაზი გახლდათ უნივერსიტეტის რექტორის, ქალბატონი მარინა ფირცხალავას მარჯვენა ხელი, რომელიც რეალობად აქცევდა ყოველ მის იდეას ყოველდღიური დაუღალავი შრომითა და თავდადებით. იგი გახლდათ გაჭირვებაში მყოფი ადამიანების გვერდზე მდგომი პიროვნება.

ეს კეთილშობილი პიროვნება უდიდესი დანაკლისია, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე თითოეული ჩვენგანისათვის.

პირველი დღე უნივერსიტეტ გეომედში

22 სექტემბერს უნივერსიტეტ გეომედში პირველად შემოაბიჯეს პირველკურსელებმა. სტუდენტებს ტრადიციულად საზეიმო ვითარებაში დახვდნენ და მნიშვნელოვანი დღე მიულოცეს ფაკულტეტის დეკანებმა, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებმა და ა.შ.

სტუდენტებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სწავლის პროცესის ძირითადი კომპონენტებისა, მეთოდიკის შესახებ და ა.შ.

პირველკურსელებისთვის Welcome Party კი ბარ ქლაუდში გაიმართა, რომელსაც მუსიკალურად DJ აფორმებდა. უნივერსიტეტ გეომედის თვითმართველობის მიერ სტუდენტებისთვის მყუდრო, მხიარული და მეგობრული გარემო იყო შექმნილი.

უნივერსიტეტ გეომედის ორგანიზებით განხორციელდა მოკლევადიანი უსგ პროგრამა: “ნოზოკომიალური ინფექციის როლი სეფსისის განვითარებაში და სეფსისის მკურნალობაში გამოყენებული ანტიბიოტიკების ტოქსიურობა”. თანამედროვე მედიცინის ერთ ერთი მთავარი პრობლემა სეფსისი და ნოზოკომიალური ინფექციის რაციონალური ანტიბაქტერიალური თერაპია ყველაზე აქტუალური თემაა კრიტიკულ მედიცინაში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

უნივერსიტეტის ინიციატივა მიზნად ისახავდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში საერთაშორისო გაიდლაინების გამოყენების როლის გაზრდას, სამედიცინო პერსონალის ცნობიერების ამაღლებას თანამედროვე ანტიბიოტიკოთერაპიასა და სეფსისის მკურნალობაში.

კიდევ ერთი მოკლევადიანი უსგ პროგრამის თემა იყო: “ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებების ტოქსიურობა”. ადგილობრივი სანესთეზიო საშუალებების სიმრავლე საჭიროებს ექიმისგან მაქსიმალურ გაცნობიერებას მედიკამენტის ფარმაკოლოგიურ თვისებებში, აგრეთვე შესაძლო ტოქსიურობის ამოცნობაში და მართვაში. პროგრამის მიზანი იყო ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებების მიერ გამოწვეული ტოქსიური ეფექტებისა და გართულებების მინიმუმამდე შემცირება.

ტრენინგებს უძღვებოდა პროგრამის ავტორი, მედიცინის დოქტორი, უნივერსიტეტ გეომედის აფილირებული პროფესორი ალექსანდრე ლოლაძე.

პროგრამები აკრედიტებულია სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ და განხორციელდა რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს უნივერსიტეტ გეომედის აუდიტორიებში.

ოთხ დღიანი აკადემიური ღონისძიება ყელ-ყურ-ცხვირის შესახებ ჩატარდა პროფესორ რაჯივ დჰავანის მიერ, რომელიც განკუთვნილი იყო სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისთვის და მიზნად ისახავდა მათ მომზადებასა და დახმარებას FMGE (Foreign Medical Graduate Examination) გამოცდებისთვის. ღონისძიება ორგანიზებული იყო SAS-ის (Students' Academic Society) მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

ღონისძიებას უძღვებოდა პროფესორი რაჯივ დჰავანი, აღიარებული ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტი და გამოცდილი კლინიცისტი, რომელიც ცნობილია როგორც ინდოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ სწავლების სიცხადით, კონცეპტუალური მიდგომებითა და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგიით. მისი სესიები ინტერაქტიული, სტრუქტურირებული და კლინიკურად შესაბამისი მაგალითებით იყო სავსე. დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებით აღფრთოვანებული დარჩა მისი უნარით, გაემარტივებინა რთული თემები, რაც მათ უფრო ადვილად აღსაქმელს და დასამახსოვრებელს ხდიდა გამოცდებისთვის მზადების პროცესში.

ღონისძიებაში 358 კურსდამთავრებული მონაწილეობდა. პროფესორ რაჯივ დჰავანის ლექცია მოიცავდა ყელ-ყურ-ცხვირის თერაპიის ყველა ძირითად და მეორეხარისხოვან თემას. ფოკუსირებული იყო არა მხოლოდ თეირულ ცოდნაზე, არამედ არსებულ სიახლეებზე, ტენდენციებსა და საგამოცდო შეკითხვებზე. მან ყურადღება გაამახვილა გახსენების ტექნიკაზე, დიაგნოსტიკურ მსჯელობასა და პრობლემების გადაჭრაზე, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მონაწილეებზე.

ღონისძიების მიმდინარეობის მესამე დღეს ჩატარდა FMGE-ს სტილის ვიქტორინა, რომელიც მონაწილეთა მიერ განხილული მასალის გაგების შესაფასებლად იყო შექმნილი. ვიქტორინის მიზანი იყო კურსდამთავრებულებისთვის Arise-ის, FMGE-სთვის მოსამზადებელი წამყვანი პლატფორმის მიერ შეთავაზებული სტიპენდიის გადაცემა. შედეგების მიხედვით 9 მონაწილემ მიიღო 100%-იანი, ხოლო 18-მა მონაწილემ 50%-იანი სტიპენდია. ეს ინიციატივა არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებას ამოწმებდა, არამედ მოტივაციის ინსტრუმენტადაც იქცა. ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებამ მათ საჭირო თავდაჯერებულობა შემატა.

ღონისძიება წარმატებით დასრულდა, სტუდენტებმა მადლიერება გამოთქვეს სწავლების ხარისხის, ორგანიზებისა და დოქტორ დჰავანის კალიბრის მასწავლებელთან უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობისთვის.

უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა და MedLink Society-ის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს MedConnectsOverseas-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში: Pulmora: A Symposium Where Innovation Meets Inhalation. სიმპოზიუმზე, რომელიც ფოკუსირებული იყო პულმონოლოგიაზე და ამ სფეროში არსებული უახლესი ინოვაციების გაზიარებაზე, მონაწილეობას იღებდნენ მედიცინის სტუდენტები და დარგის სპეციალისტები.

სანჯივინიმ-მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტმა, MedLink Society-ის თანამდივანმა და ჯოან სუზან ზაქარიამ - მედიცინის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა წარადგინეს პოსტერი სახელწოდებით: „პოსტ-COVID-19 სინდრომის ფილტვისმიერი გამოვლინებები პედიატრიაში: სისტემატური მიმოხილვა". მათ პრეზენტაციაში ისაუბრეს ძირითად მიგნებებზე ხანგრძლივი COVID-19-ის დროს ბავშვებში, ფილტვის დისფუნქციის გამოუვლენელ შემთხვევებსა და ფილტვის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის როლის შესახებ დიაგნოსტიკაში.

ღონისძიება, როგორც აკადემიური პლატფორმა მნიშვნელოვანი იყო ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობის კუთხით. MedLink Society-ის წევრებმა ღირსეულად წარმოადგინეს უნივერსიტეტი გეომედი სიმპოზიუმზე.



ორგანიზაცია SAS-სა და INCREDOC-ს ორგანიზებით ჩატარდა ერთდღიანი ინტერაქტიული აკადემიური ღონისძიება: „ტვინი და მის მიღმა", რომელიც ადამიანის ტვინსა და მის კლინიკურ სირთულეებს ეხებოდა. მედიცინის სტუდენტებისთვის შექმნილი ღონისძიება თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ გამოცდილებასთან აერთიანებდა და ნეიროანატომიის სიღრმისეულად შესწავლის იშვიათ შესაძლებლობას სთავაზობდა მათ. დღის მთავარი მოვლენა იყო სემინარი ტვინის დისექციის შესახებ, რომელსაც უძღვებოდნენ ინსტრუქტორები - სტუდენტები, რომლებმაც პედაგოგების როლი მოირგეს. მათ მიერ განხილული იყო ისეთები თემები, როგორიცაა ტვინის რთული ანატომია, ტვინის ძირითადი სტრუქტურების იდენტიფიცირება, ნევროლოგიური ტრავმის შედეგების გააზრება და ა.შ.

ამ მიდგომამ ხელი შეუწყო ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას, რაც ადასტურებს თანატოლების ჩართულობის მნიშვნელობას სწავლების პროცესში. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იყო სახელმძღვანელოებიდან ნასწავლი მასალის კლინიკურ პროცესებთან დაკავშირება.

დისექციასთან ერთად ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო:

- Immersive Learning App - INCREDOC-ის მიერ შექმნილი აპლიკაცია, რომელიც იყენებს ხელოვნურ ინტელექტს კლინიკური შემთხვევების რეალურ დროში სტიმულირებისა და კორელაციისთვის;
- კლინიკური შემთხვევების კორელაცია, რომელიც აკავშირებს ანატომიას რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან;
- აქტივობები, რომელთა მიზანი იყო სტუდენტების ჩართულობა.

ენთუზიაზმით აღსავსე მონაწილეებისა და ფაკულტეტის ჩართულობით ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და აღმოფხვრა თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული უფსკრული, დაეხმარა დამსწრე საზოგადოებას ნერვული სისტემის სირთულის გააზრებაში.

19-21 სექტემბერს თბილისში ჩატარდა პარაძიუდოს ევროპის ჩემპიონატი, სადაც უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეორე კურსის სტუდენტი ლუკა მახათაძე პროფესორ ზურაბ კახაბრიშვილის ხელმძღვანელობით სამედიცინო გუნდის წევრი იყო. ევროპის ჩემპიონატზე სამედიცინო გუნდის წევრობა დიდი გამოცდილება და გამოწვევა იყო სტუდენტისთვის. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ისტორიული შედეგი აჩვენა – 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო, ხოლო გუნდურში ჩემპიონობა მოიპოვა.